საქართველოს პარლამენტი

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-მარტის შესრულების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2024
აპრილი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 6,290.1 მლნ ლარი	103.7% 3 თვის გეგმის	25.6% წლიური გეგმის
გადასახდელები - 5,727.4 მლნ ლარი	97.7% 3 თვის გეგმის	22.9% წლიური გეგმის

ნაშთის ცვლილება 562.7 მლნ ლარი	საოპერაციო სალდო 1,086.4 მლნ ლარი	მთლიანი სალდო 288.3 მლნ ლარი

შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები





გადასახადების სტრუქტურა



ხარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

2024 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** შესრულება 6,290.1 მლნ ლარს, წლიური გეგმის (24,569.5 მლნ ლარი) 25.6%-ს და 3 თვის გეგმის[1] (6,066.2 მლნ ლარი) 103.7%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 1,389.7 მლნ ლარით (28.4%-ით) აღემატება (შემოსავლების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).

2024 წლის 3 თვეში **გადასახდელების** შესრულება 5,727.4 მლნ ლარს, წლიური გეგმის (25,030.4 მლნ ლარი) 22.9%-ს და 3 თვის გეგმის (5,862.9 მლნ ლარი) 97.7%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის 3 თვის მაჩვენებელს 1,068.3 მლნ ლარით (22.9%-ით) აჭარბებს (ხარჯების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).





შემოსულობების კომპონენტების შესრულებას რაც შეეხება, 3 თვის გეგმის მიმართ, კარგი შესრულების დონით ხასიათდება შემოსავლებისა (100.8%) და ფინანსური აქტივების კლების (101.7%) მაჩვენებლები, ხოლო ვალდებულებების ზრდისა და არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტების შესრულება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა და 3 თვის გეგმის, შესაბამისად, 145.5%-ს და 169.2%-ს შეადგენს.

გადასახდელების კომპონენტების შესრულებასთან დაკავშირებით, ხარჯების შესრულების მაჩვენებელი 3 თვის გეგმის 94.3%-ს შეადგენს. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა არაფინანსური აქტივებისა და ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტები (3 თვის გეგმის, შესაბამისად, 122.1% და 190.6%), ვალდებულებების კლების კომპონენტს კი შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვს (3 თვის გეგმის 88.9%).





[1] 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 29 დეკემბრის №518 ბრძანება).

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი წლის დასაწყისისათვის 1,577.3 მლნ ლარს გაუტოლდა. 3 თვის შემოსულობებისა და გადასახდელების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 562.7 მლნ ლარი შეადგინა და 2024 წლის 1 აპრილისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 2,140.1 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.



2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდო** 3 თვეში 1,086.4 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო **მთლიანმა სალდომ** 288.3 მლნ ლარი შეადგინა.



გადასახადების შესრულებამ იანვარ-მარტში 5,212.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც 3 თვის გეგმის 100.1%-ს და წლიური გეგმის 27.3% შეადგენს. 3 თვის გეგმის მიმართ ყველა საგადასახადო შემოსავალი მობილიზების კარგი დონით ხასიათდება და 98.7%-113.5%-ის ფარგლებში მერყეობს, გარდა მოგების გადასახადისა და სხვა გადასახადისა, რომლებიც მნიშვნელოვანი გადახრებით გამოირჩევა (შესაბამისად, 3 თვის გეგმის 57.5% და 221.3%). წინა წელთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 1,099.3 მლნ ლარით (26.7%-ით) არის გაზრდილი, ძირითადად, საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადების, შესაბამისად, 12.7%-იანი და 9.7%-იანი მატების გავლენით.



ხარჯების შესრულებამ 3 თვეში 4,507.3 მლნ ლარი შეადგინა, 3 თვის გეგმის 94.3% და წლიური გეგმის 23.6%. 3 თვის გეგმასთან მიმართებით, შესრულების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა სუბსიდიები (107.0%), კარგი შესრულებით ხასიათდება სოციალური უზრუნველყოფის (99.2%), პროცენტისა (97.8%) და შრომის ანაზღაურების (92.7%) მუხლები, შედარებით დაბალი მაჩვენებლები აქვს სხვა ხარჯების (89.9%), საქონლისა და მომსახურების (85.8%) და გრანტების (81.7%) მუხლებს. წინა წელთან შედარებით ხარჯები 739.3 მლნ ლარით (19.6%-ით) გაზრდილია, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფისა (265.3 მლნ ლარით) და პროცენტის (111.1 მლნ ლარით) მუხლებით ხარჯების მატების გავლენით.



დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 3 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 3 თვის გეგმა*	2024 წლის 3 თვის შესრულება	შესრულების % 3 თვის გეგმასთან	შესრულების % წლიურ გეგმასთან
შემოსულობები	**4,900.5**	**24,569.5**	**6,066.2**	**6,290.1**	**103.7%**	**25.6%**
შემოსავლები	**4,422.8**	**20,731.0**	**5,548.2**	**5,593.7**	**100.8%**	**27.0%**
გადასახადები	4,113.0	19,115.0	5,207.4	5,212.3	100.1%	27.3%
საშემოსავლო გადასახადი	1,424.0	6,345.1	1,626.0	1,605.4	98.7%	25.3%
მოგების გადასახადი	671.1	2,690.0	1,080.0	620.8	57.5%	23.1%
დღგ	1,585.4	7,388.3	1,699.4	1,739.8	102.4%	23.5%
აქციზი	434.1	2,375.0	454.0	515.3	113.5%	21.7%
იმპორტის გადასახადი	32.1	150.0	32.0	31.8	99.4%	21.2%
სხვა გადასახადები	-33.7	166.6	316.0	699.3	221.3%	419.7%
გრანტები	114.9	266.0	95.1	116.9	122.9%	43.9%
სხვა შემოსავლები	194.9	1,350.0	245.7	264.5	107.6%	19.6%
არაფინანსური აქტივების კლება	**29.7**	**200.0**	**36.0**	**60.9**	**169.2%**	**30.5%**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**89.7**	**300.0**	**150.0**	**152.6**	**101.7%**	**50.9%**
ვალდებულებების ზრდა	**358.2**	**3,338.5**	**331.9**	**482.9**	**145.5%**	**14.5%**
საგარეო	295.5	1,838.5	145.9	234.3	160.5%	12.7%
საშინაო	62.8	1,500.0	186.0	248.6	133.7%	16.6%
გადასახდელები	**4,659.1**	**25,030.4**	**5,862.9**	**5,727.4**	**97.7%**	**22.9%**
ხარჯები	**3,768.0**	**19,120.9**	**4,779.0**	**4,507.3**	**94.3%**	**23.6%**
შრომის ანაზღაურება	509.3	2,577.3	636.7	590.1	92.7%	22.9%
საქონელი და მომსახურება	428.3	2,232.0	602.9	517.3	85.8%	23.2%
პროცენტი	307.2	1,540.0	427.6	418.3	97.8%	27.2%
სუბსიდიები	223.9	1,044.9	236.8	253.3	107.0%	24.2%
გრანტები	212.5	1,513.0	361.6	295.3	81.7%	19.5%
სოციალური უზრუნველყოფა	1,581.4	7,470.4	1,860.9	1,846.7	99.2%	24.7%
სხვა ხარჯები	505.4	2,743.2	652.5	586.3	89.9%	21.4%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**583.3**	**4,180.6**	**703.4**	**859.0**	**122.1%**	**20.5%**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**25.4**	**305.6**	**22.3**	**42.5**	**190.6%**	**13.9%**
ვალდებულებების კლება	**282.4**	**1,423.4**	**358.2**	**318.5**	**88.9%**	**22.4%**
საგარეო	269.7	1,380.6	345.5	305.8	88.5%	22.2%
საშინაო	12.6	42.7	12.7	12.7	99.6%	29.7%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	**241.4**	**-460.9**	**203.2**	**562.7**		

* 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №518)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 3 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 3 თვის გეგმა	2024 წლის 3 თვის შესრულება	შესრულების % 3 თვის გეგმასთან	შესრულების % წლიურ გეგმასთან
შემოსავლები	**4,422.8**	**20,731.0**	**5,548.2**	**5,593.7**	**100.8%**	**27.0%**
გადასახადები	4,113.0	19,115.0	5,207.4	5,212.3	100.1%	27.3%
გრანტები	114.9	266.0	95.1	116.9	122.9%	43.9%
სხვა შემოსავლები	194.9	1,350.0	245.7	264.5	107.6%	19.6%
ხარჯები	**3,768.0**	**19,120.9**	**4,779.0**	**4,507.3**	**94.3%**	**23.6%**
შრომის ანაზღაურება	509.3	2,577.3	636.7	590.1	92.7%	22.9%
საქონელი და მომსახურება	428.3	2,232.0	602.9	517.3	85.8%	23.2%
პროცენტი	307.2	1,540.0	427.6	418.3	97.8%	27.2%
სუბსიდიები	223.9	1,044.9	236.8	253.3	107.0%	24.2%
გრანტები	212.5	1,513.0	361.6	295.3	81.7%	19.5%
სოციალური უზრუნველყოფა	1,581.4	7,470.4	1,860.9	1,846.7	99.2%	24.7%
სხვა ხარჯები	505.4	2,743.2	652.5	586.3	89.9%	21.4%
საოპერაციო სალდო	**654.8**	**1,610.1**	**769.2**	**1,086.4**	**141.2%**	**67.5%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**553.6**	**3,980.6**	**667.4**	**798.1**	**119.6%**	**20.1%**
ზრდა	583.3	4,180.6	703.4	859.0	122.1%	20.5%
კლება	29.7	200.0	36.0	60.9	169.2%	30.5%
მთლიანი სალდო	**101.2**	**-2,370.5**	**101.8**	**288.3**	**283.2%**	**-12.2%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**177.1**	**-455.4**	**75.5**	**452.7**	**599.6%**	**-99.4%**
ზრდა	**266.8**	**305.6**	**225.5**	**605.2**	**268.4%**	**198.1%**
ვალუტა და დეპოზიტები	241.4	0.0	203.2	562.7	276.9%	
სესხები	25.4	305.6	22.3	42.5	190.6%	13.9%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0		
კლება	**89.7**	**760.9**	**150.0**	**152.6**	**101.7%**	**20.0%**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	460.9	0.0	0.0		0.0%
სესხები	89.7	300.0	150.0	152.6	101.7%	50.9%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0		
ვალდებულებების ცვლილება	**75.9**	**1,915.1**	**-26.3**	**164.4**	**-625.2%**	**8.6%**
ზრდა	**358.2**	**3,338.5**	**331.9**	**482.9**	**145.5%**	**14.5%**
საშინაო	62.8	1,500.0	186.0	248.6	133.7%	16.6%
საგარეო	295.5	1,838.5	145.9	234.3	160.5%	12.7%
კლება	**282.4**	**1,423.4**	**358.2**	**318.5**	**88.9%**	**22.4%**
საშინაო	12.6	42.7	12.7	12.7	99.6%	29.7%
საგარეო	269.7	1,380.6	345.5	305.8	88.5%	22.2%
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**		

საქართველოს პარლამენტი